

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №746
2015 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ფ.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანდართული დებულება.

მუხლი 2

მაღადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 13 დეკემბრის №979 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი

გიორგი მღებრიშვილი

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით, სამინისტროს დებულებითა და ამ დებულებით დაკისრებულ ამოცანებს.

2. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) წინაშე.

მუხლი 2

1. დეპარტამენტი თავისი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სამინისტროს დებულებით, ამ დებულებით, მინისტრის ბრძანებებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.



2. დეპარტამენტი არ ახორციელებს ფასიან მომსახურებას.

მუხლი 3

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- ა) სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების მიმართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლისა და სხვა საქმეებზე საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური გამოკვლევების განხორციელება, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნებისა და აქტების გაცემა;
- ბ) საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურებთან ერთად, კვლევის სპეციფიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით კვალთა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა, დაფიქსირება, ამოღება და მათი შემდგომი გამოკვლევის გზით დანაშაულის გახსნის უწყვეტ პროცესში მონაწილეობა;
- გ) ოპერატიული თვალსაზრისით სხვა საჭირო მტკიცებულებათა მოპოვება კანონით დადგენილი წესით;
- დ) კვლევის სპეციალური საშუალებების, თანამედროვე ტექნიკის, ახალი მეცნიერული მეთოდებისა და საექსპერტო მიმართულებების დანერგვა-განვითარება დანაშაულის გახსნისა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით;
- ე) მაღალი ხარისხის საექსპერტო მომსახურების მიზნით საექსპერტო-კრიმინალისტიკური დანაყოფების მიერ გაწეული მუშაობის ანალიზი და ხარისხის კონტროლი;
- ვ) დეპარტამენტს დაქვემდებარებული სტრუქტურული დანაყოფების მეთოდური და პრაქტიკული დახმარება, მთავარ ექსპერტთა, უფროს ექსპერტთა, ექსპერტთა და უმცროს ექსპერტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება, მათი მუშაობის შემოწმება და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებების განხორციელება;
- ზ) საქართველოსა და საერთაშორისო საექსპერტო დაწესებულებებთან, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №110 - ვებგვერდი, 20.09.2018წ.

მუხლი 4

1. დეპარტამენტის კომპეტენციაა:

- ა) საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა;
- ბ) საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებში ექსპერტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის კვალის, საგნის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა, დაფიქსირება და ამოღება;
- გ) კანონით დადგენილი წესით პიროვნებათა დაქტილოსკოპირება, ფოტო და ვიდეოგადაღება, გენეტიკური დაქტილოსკოპირება, ოდოროლოგიური კვალისა და სხვა ნიმუშების აღება;
- დ) დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური, ჰაბიტოსკოპიური, ნარკოლოგიური, გენეტიკური პროფილისა და სხვა მონაცემთა ბაზების წარმოება და განვითარება;
- ე) ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო სამსახურების მიმართვის საფუძველზე საინფორმაციო-სამიებო კრიმინალისტიკური კარტოთევებითა და მონაცემთა ბაზებით შემოწმების უზრუნველყოფა;
- ვ) საექსპერტო-კრიმინალისტიკური დანაყოფების საქმიანობის კონტროლი და მეთოდური



ხელმძღვანელობა;

ზ) კვლევის სპეციალური საშუალებების, თანამედროვე ტექნიკის, ახალი მეცნიერული მეთოდებისა და საექსპერტო მიმართულებების დანერგვა-განვითარება;

ზ¹) სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჭიროების შემთხვევაში სათანადო წესით გადმოცემული სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მიღება, აღრიცხვა, შენახვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირისთვის/ორგანოსთვის გადაცემა ან განადგურება;

ზ²) დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება და შიდა და გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერების საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება;

თ) მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ საექსპერტო და სპეციალურ კვლევებს:

- ა) დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენა, დაფიქსირება, ამოღება;
- ბ) ფეთქებადსაშიში ნივთიერებების ექსპერტიზა, ელექტროტექნიკური, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და მექანიზმების ექსპერტიზა, რადიაციული ექსპერტიზა, სახანძრო ექსპერტიზა;
- გ) ავტოტექნიკური ექსპერტიზა;
- დ) ტრასოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზა, ცივი იარაღის კვლევა;
- ე) ქიმიური, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, ფარმაცევტული პრეპარატების და ბიოლოგიური ექსპერტიზა;
- ვ) ხელნაწერების გრაფიკული ექსპერტიზა, დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა;
- ზ) დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- თ) ეკონომიკური საქმიანობის კვლევა და ფინანსური ექსპერტიზა;
- ი) სასაქონლო და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- კ) ფონოსკოპიური ექსპერტიზა;
- ლ) ჰაბიტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- მ) კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზა;
- ნ) ოდოროლოგიური ექსპერტიზა;
- ო) ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- პ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა სახის ექსპერტიზის წარმოება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 1 მაისის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 01.05.2020წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 2 მარტის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 05.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 6 მაისის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 06.05.2022წ.



თავი II

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

მუხლი 5

1. დეპარტამენტის ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
2. დეპარტამენტის დირექტორი:
 - ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის საქმიანობას და კოორდინაციას უწევს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა შესრულებას;
 - ბ) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და საქმიანობის ორგანიზების შესახებ;
 - გ) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თანამშრომლებს;
 - დ) კანონით განსაზღვრული წესით გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად იწვევს სპეციალისტებს ხელშეკრულების საფუძველზე;
 - ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინისტრს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
 - ვ) სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;
 - ზ) შუამდგომლობს მინისტრთან დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;
 - თ) სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს იმ საკითხებზე, რომლებიც დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება;
 - ი) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
 - კ) ორგანიზებას უწევს გამოკვლევათა მეთოდიკების სრულყოფას, ვალიდაციას, ახალი მეთოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შემუშავებას; უზრუნველყოფს მათ დამტკიცებას;
 - ლ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დეპარტამენტის დირექტორი ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე.

მუხლი 6

1. დეპარტამენტის დირექტორს ჰყავს ერთი ან რამდენიმე მოადგილე, რომელთაც დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
2. დეპარტამენტის დირექტორის არყოფნისას დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობას მინისტრის ბრძანებით ასრულებს დეპარტამენტის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე.
3. დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეები კოორდინაციას უწევნ და პასუხისმგებელნი არიან დეპარტამენტის იმ დანაყოფების საქმიანობაზე, რომლებიც განსაზღვრულია დირექტორის მიერ.
4. დირექტორის მოადგილეები ანგარიშვალდებული არიან დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.



თავი III

დეპარტამენტის სტრუქტურა და კომპეტენცია

მუხლი 7

1. დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფებია:

ა) ექსპერტიზის მთავარი სამმართველო;

ა¹) კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის სამმართველო;

ბ) ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველო;

გ) ხარისხის კონტროლისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო;

დ) (ამოღებულია - 26.12.2023, №100);

ე) კინოლოგიის სამსახური;

ვ) საქმისწარმოებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა ბრუნვის სამმართველო;

ზ) აჭარის ა.რ. საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

ი) იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

კ) სამცხე-ჯავახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

ლ) შიდა ქართლის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

მ) მცხეთა-მთიანეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

ნ) ქვემო ქართლის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;

ო) კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური.

2. დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფები იყოფა ქვედანაყოფებად.

3. დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფების, მათ შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფების სტრუქტურას, უფლება-მოვალეობების განაწილებისა და საქმიანობის წესს ამტკიცებს მინისტრი დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 1 მაისის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 01.05.2020წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 6 მაისის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 06.05.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №100 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

მუხლი 8

1. ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) სასამართლოს, პროკურორის, გამომმიებლის, სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების მიმართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის საქმეებსა და სხვა საქმეებზე საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური



გამოკვლევების განხორციელება, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნებისა და აქტების გაცემა;

ბ) დანაშაულის კვალის და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, დაფიქსირების, ამოღებისა და მათი შემდგომი გამოკვლევის მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, ასევე სხვა საგამოძიებო მოქმედებებსა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობა;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით პიროვნებათა დაქტილოსკოპირება და ფოტოგადაღების წარმოება;

დ) დაქტილოსკოპიურ, ბალისტიკურ, ჰაბიტოსკოპიურ მონაცემთა აღრიცხვა და ბაზების წარმოება;

ე) პირის იდენტიფიცირების მიზნით პენიტენციური დაწესებულებებიდან, აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფებიდან დაქტილოსკოპიური ბარათების დაქტილოსკოპიურ მონაცემთა მიღება, დამუშავება და ბაზაში განთავსება/აღრიცხვა;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ნარკოლოგიური გამოკვლევისა და ექსპერტიზის განხორციელება, შესაბამისი დასკვნის გაცემა;

ზ) ნარკოლოგიური გამოკვლევისა და ექსპერტიზის განხორციელების პროცესში მიღებული ბიოლოგიური მასალის დალუქვა-შენახვის უზრუნველყოფა;

თ) გაწეული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება;

ი) მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს უფროსი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის დირექტორისა და დეპარტამენტის დირექტორის კურატორი მოადგილის (ასეთის არსებობისას) წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 6 მაისის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 06.05.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №60 - ვებგვერდი, 18.08.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №100 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

მუხლი 8¹

1. კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის სამმართველოს კომპიუტერულია:

ა) სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების მიმართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის საქმეებსა და სხვა საქმეებზე საჭირო გარემოებების დასადგენად, საკითხების გადასაწყვეტად, ელექტრონული/ციფრული მტკიცებულებების შესწავლა-დამუშავება, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზისა და სპეციალური გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნებისა და აქტების გაცემა;

ბ) დანაშაულის კვალის, ნივთიერ (ელექტრონული/ციფრული) მტკიცებულებათა აღმოჩენის, დაფიქსირების, ამოღებისა და მათი შემდგომი გამოკვლევის მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, ასევე სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობა;

გ) გაწეული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება;

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის დირექტორისა და დეპარტამენტის დირექტორის კურატორი მოადგილის (ასეთის არსებობისას) წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 6 მაისის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 06.05.2022 წ.



მუხლი 9

1. ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) დანაშაულის კვალის და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, დაფიქსირების, ამოღებისა და მათი შემდგომი გამოკვლევის მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ასევე სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობა;

ბ) კანონით დადგენილი წესით პიროვნებათა დაქტილოსკოპირება, ფოტო და ვიდეოგადაღება და სხვა ნიმუშების აღება;

გ) საქმისწარმოების უზრუნველყოფა, შემოსული, მომზადებული და გასული დოკუმენტების რეგისტრაცია; საარქივო მასალების შენახვა, სისტემატიზაცია და დადგენილი წესით განადგურება; ნივთიერი მტკიცებულებების შენახვა, აღრიცხვა და გაცემა; გაწეული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება;

დ) დანაშაულის შესახებ შეტყობინება-გამოძახების მიღება, აღრიცხვა-რეგისტრაცია და შესაბამისი რეაგირების ორგანიზება.

2. ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს უფროსი ანგარი შვალდებულია დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 1 მაისის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 01.05.2020წ.

მუხლი 10

1. ხარისხის კონტროლისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) მაღალი ხარისხის საექსპერტო მომსახურების ორგანიზება და გაწეული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრა ყველა რგოლში და მათი შესწორება, აგრეთვე საჭირო ზომების მიღება მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად;

გ) ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა უახლესი მეთოდების, სტანდარტების, პროგრამების, აპარატურის მოძიების, შემუშავებისა და დანერგვის გზით;

დ) ყველა თანამშრომლის ინფორმირება და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში;

ე) დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ბრძანებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ვ) დეპარტამენტში შესათანხმებლად შემოსული ნორმატიული აქტების განხილვა;

ზ) დეპარტამენტის სამეურნეო, სასაწყობე და სატრანსპორტო საკითხების უზრუნველყოფა;

თ) დეპარტამენტის დანაყოფების მიერ შესრულებული სტატისტიკური მონაცემების შედგენა, დამუშავება და შეჯამება;

ი) დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება და შიდა და გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერების საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.

2. ხარისხის კონტროლისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 2 მარტის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 05.03.2021წ.



მუხლი 11 (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №100 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

მუხლი 12

1. კინოლოგიის სამსახურის კომპეტენციაა:

- ა) ოდოროლოგიური კვალის, ნარკოტიკული ნივთიერებების და სხვა ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის, დაფიქსირების, ამოღებისა და მათი შემდგომი გამოკვლევის მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებში მონაწილეობა;
- ბ) ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარება;
- გ) დანაშაულის შესახებ შეტყობინება-გამოძახების მიღება, აღრიცხვა-რეგისტრაცია და შესაბამისი რეაგირების ორგანიზება.
- დ) გაწეული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება;
- ე) სამსახურებრივი დანიშნულების ძალების გაწვრთნა და სპეციალური სამსახურებრივი ძალებით მომსახურე სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა სათანადო მომზადება;
- ვ) კინოლოგიის სამსახურის სამომსახურეო ძალების მოვლა-პატრონობა და ვეტერინარული მომსახურება.

2. კინოლოგიის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის დირექტორის კურატორი მოადგილისა და დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.

მუხლი 13

1. რეგიონალური დანაყოფების კომპეტენციაა:

- ა) სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების მიმართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის საქმეებსა და სხვა საქმეებზე საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური გამოკვლევების განხორციელება, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნებისა და აქტების გაცემა;
- ბ) დანაშაულის კვალის, ნარკოტიკული ნივთიერებების და სხვა ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა, დაფიქსირება, ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, ასევე სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობა; კინოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა, სამსახურებრივი დანიშნულების ძალების გაწვრთნა და მოვლა-პატრონობა, სათანადოდ გაწვრთნილი სამსახურებრივი დანიშნულების ძალების გამოყენება;
- გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ნარკოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერტიზების განხორციელება, შესაბამისი დასკვნის გაცემა;
- დ) დანაშაულის შესახებ შეტყობინება-გამოძახების მიღება, აღრიცხვა-რეგისტრაცია და შესაბამისი რეაგირების ორგანიზება;
- ე) კანონით დადგენილი წესით პიროვნებათა დაქტილოსკოპირება, ფოტო და ვიდეოგადაღების წარმოება;
- ვ) გაწეული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება;

3¹⁾ სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო



დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჭიროების შემთხვევაში სათანადო წესით გადმოცემული სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მიღება, აღრიცხვა, შენახვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირისთვის/ორგანოსთვის გადაცემა ან განადგურება;

ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. რეგიონალური სამსახურების უფროსები ანგარიშვალდებული არიან დეპარტამენტის დირექტორის კურატორი მოადგილისა და დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №110 - ვებგვერდი, 20.09.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 1 მაისის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 01.05.2020წ.

მუხლი 14

1. საქმისწარმოებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა ბრუნვის სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) დეპარტამენტში შემოსული დოკუმენტებისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღრიცხვა; დეპარტამენტის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნა; დეპარტამენტში შემოსული, მომზადებული და გასული დოკუმენტების რეგისტრაცია; დეპარტამენტის საარქივო მასალის შენახვა, სისტემატიზაცია და დადგენილი წესით განადგურება;

ბ) დეპარტამენტში დანიშნული და შესრულებული ექსპერტიზების, გამოკვლევების, მათზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების შენახვა, სისტემატიზაცია და გაცემა, გარდა ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჭიროების შემთხვევაში სათანადო წესით გადმოცემული სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მიღება, აღრიცხვა, შენახვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირისთვის/ორგანოსთვის გადაცემა ან განადგურება.

2. საქმისწარმოებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა ბრუნვის სამმართველოს უფროსი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 1 მაისის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 01.05.2020წ.

